

ნაციონალური ნარატივების ცვლილება პოსტსაბჭოთა
საქართველოში
1990-2013 წლებში

გიორგი ბარათაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე
პოლიტიკის ანთროპოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გია ნოდია, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

სარჩევი

აბსტრაქტი	3
იდენტობა	6
ნაცია	11
ნაციონალიზმი	15
ზვიად გამსახურდია	23
ედუარდ შევარდნაძე	30
მიხეილ სააკაშვილი	39
ანალიზი	47
ბიბლიოგრაფია	52

ჩემი სამაგისტრო თემა ანალიზებს პოსტსაბჭოთა საქართველოში ნაციონალური ნარატივის ცვლილებას. თემა გაყოფილია ორ ნაწილად: პირველ ნაწილში წარმოდგენილია ნაციონალიზმის, როგორც თეორიის და ქმედების ანალიზი, მეორე ნაწილი მოიცავს საქართველოში ნაციონალური ნარატივების ცვალებადობის პროცესს, რომელიც გამოხატული იყო სახელმწიფოს უმაღლესი ხელმძღვანელების მიერ ბოლო 25 წლის განმავლობაში.

პოსტსაბჭოთა საქართველოში მკვლევარისთვის ადვილი დასანახია ის ცვლილებები, რომელიც სახელმწიფო მეთაურების შეცვლას მოყვა ბოლო წლების განმავლობაში. ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვსაუბრობ ეკონომიკურ და მატერიალურ ცვლილებებზე, თემის ფარგლებში შევხებით იმ ცვლილებას, რომელსაც იდეოლოგიური შეიძლება დაერქვას. მოცემულ ნაშრომში ჩვენ გაავანალიზეთ ზვიად გამსახურდიას, ედუარ შევარდნაძის და მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლებს და ქრონოლოგიურად მივყევით ნაციონალური ნარატივების ცვალებადობას.

საქართველო იმ გეოპოლიტიკურ არეალს ეკუთნის სადაც ნაციის ფორმირება ბუნებრივად არ მოხდა. მკვლევარები ერთმანეთისგან განასხვავებენ დასავლეთის - ძველი ნაციების, ბუნებრივ წარმოშობას და ნაციის მიზანმიმართლ ფორმირებას აღმოსავლეთ ევროპაში, აზიაში, ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში. საფრანგეთის რევოლუციის დროინდელი ევროპა ეს არის ადგილი, სადაც ნაციონალიზმი იბადება და ყალიბდება. დასავლეთ ევროპის ქვეყნები ნაციონალიზმის დისკურსში განვითარდნენ და მათთვის ბუნებრივი აღმოჩნდა ახალი დროის სეკულარული რელიგია (ნაციონალიზმი). სამყაროს დანარჩენი ქვეყნებში კი ნაციის ფორმირება ხშირ შემთხვევაში ინტელექტუალთა ძალისხმევით მოხდა. ენტონი დ სმიტი წიგნში

„ნაციონალური იდენტობა“ წერს: „დასავლეთში თითქმის შემთხვევით იშვა ნაციები, დედამიწის სხვა კუთხეში კი გეგმაზომიერად შეიქმნა“¹.

ფრანგებისთვის, ინგლისელებისთვის და ამერიკელებისთვის ერის ჩამოყალიბება თანმდევი პროცესია, სხვა ქვეყნებისთვის კი ის პოლიტიკური პროექტია, რომელიც მოდერნიზაციის საჭიროებამ მოიტანა. ამ საქმეს ჭირდებოდა ადამიანები, რომლებიც დანერგავდნენ ნაციონალიზმის იდეოლოგიას ქვეყანაში და შექმნიდნენ მოდერნულ სახელმწიფოს ან მცდელობა ექნებოდათ ამის. ამ პროცესის თანმდევი ტერმინებია ეროვნული გაღვიძება, ერის შექმნა, ერის მშენებლობა და სხვა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი და პოლიტოლოგი გია ნოდია კონფერენციისადმი მიძღვნილ ნაშრომში „ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი“ პოლიტიკური პროექტით შექმნილ ერებს „დაგვიანებულ ერებს“ უწოდებს. ის წერს: „ამ მეორე წესით შექმნილ ერებს, ანუ ერების დიდ უმრავლესობას, შეგვიძლია დაგვიანებული ერები ვუწოდოთ. მათ გვიან დაიწყეს მოდერნიზება, ამიტომ ეროვნულობის განვითარებისათვის არსებული პარადიგმების გადმოღება მოუხდათ“².

მე-19 საუკუნის ქართულმა ინტელიგენციამ, რომელიც ახალი სეკულარული რელიგიით იყო შთაგონებული, დაიწყო პროცესი, რომელსაც ნაციონალიზმის მიზანმიმართულ ფორმირება ეწოდება, დაგვიანებული ერის შემნა. ეს იმ დროს ხდებოდა, როდესაც საქართველოს მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილმა იცოდა წერა-კითხვა. იდეები, რომლებსაც ინტელიგენცია აზიარებდა ჯერ კიდევ არ იყო ხელმისაწვდომი მოსახლეობის ფართო ნაწილისთვის. მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით რეგიონებში მცხოვრები, არ იღებდა აქტიურ მონაწილეობას ნაციის ფორმირებაში.

¹ ენტონი დ.სმიტი, *ნაციონალური იდენტობა*, ლოგოს პრესი 2008, გვ 124

² გია ნოდია, *ქართველი ერის დაბადება, ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი*, გვ 118

რუსეთის საბჭოთა იმპერიამ 1921 წელს მოახდინა კავკასიის ტერიტორიაზე არსებული ქვეყნების ანექსია, მათ შორის იყო საქართველოც. ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგია, რომელსაც ინტელიგენცია ავრცელებდა, შეიცვალა კომუნიზმის და პროლეტარიატის იდეების რეჟიმისეული ინტერპრეტაციებით.

საბჭოთა კავშირში საქართველოს 70 წლის ყოფნის მიუხედავად, ქართული ნაციის ფორმირება არ შეწყვეტილა. ქართული ნაციის იდეამ დაპირისპირებაში გაიაზრა საკუთარი არსება და ამ დაპირისპირებაში ჩამოყალიბდა. ნაციის ატრიბუტების თვითგადარჩენა გახდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი - ენა, კულტურული სიმბოლოები, ნაციისადმი მიკუთვნების გრძნობა და სხვა. ქართველი ადამიანისათვის მკაფიო იდენტობა ჩამოყალიბდა, მან კარგად გაიაზრა საკუთარი თავის განსხვავებულობა სხვა მოძმე რესპუბლიკების ნაციებთან მიმართებაში.

ნაციონალიზმის თეორიის ჩვენებისას ვერ გავექცევით იდენტობის და ნაციის კონცეპტების ანალიზის. ნაციისგან განსხვავებით იდენტობის ისტორია ადამიანის ისტორიას ემთხვევა. ადამიანს სოციალრი სამყარო უმზადებს მზა იდენტობებს, რომელსაც ის აღმოაჩენს სოციალიზაციის მატებასთან ერთად. იდენტობისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა კი სწორედ ნაციონალური იდენტობის შემდეგ მოხდა. ნაციონალიზმის იდეა აღმოჩნდა უნივერსალური, მსოფლიოს ყველა კუთხეში შეიქმნა ერი-სახელწიფოები, რომელთაც საკუთარი იდენტობები გააჩნია. მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის უდიდესი ტრაგედიები სწორედ ნაციონალურმა იდენტობამ გამოიწვია და ამ იდენტობისადმი ადამიანის გადამეტებული მნიშვნელობის მინიჭებით.